

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში: საკრებულოს მიერ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში გაწეული მუშაობის შესახებ

განვლილი 2020 წელი მძიმე და რთული აღმოჩნდა, როგორც ქვეყნისათვის, ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. კორონა ვირუსის გავრცელების გამო კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა ქვეყნის მასშტაბით. მიუხედავად სირთულეებისა, ქვეყნის მთავრობამ პრემიერ მინისტრის ხელმძღვანელობით, შესაბამისმა სამინისტროებმა და ინფექციურ დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა, საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით და მიღებული ეფექტური ზომების შედეგად, დამლეული იქნა ეპიდემიის შემოტევის პირველი ტალღა, მაქსიმუმი კეთდება მეორე ტალღის პირობებში დაინფიცირებულთა შემცირებისა და ეკონომიკური დონის შენარჩუნებისათვის.

მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს პარლამენტის არჩევნები.

კორონა ვირუსის გავრცელებამ თავის მხრივ გავლენა მოახდინა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საქმიანობაზე, შეიცვალა საჯარო სამსახურების მუშაობის რეჟიმი და განრიგი. უარი ვთქვით 2020 წლისათვის დაგეგმილ რიგი პროექტების განხორციელებაზე და ცალკეული ღონისძიებების გამართვაზე. მუშაობის ონლაინ რეჟიმზე იქნა გადაყვანილი მერიისა და საკრებულოს სამსახურები. მთავრობიდან მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან ერთად განხორციელდა რიგი ღონისძიებები კორონა ვირუსით დაავადებულთა გამოვლენისა და შესაბამისი პროფილაქტიკური ზომების მიღებისათვის. მუნიციპალიტეტში შეიქმნა მუშა ჯგუფები რამდენიმე მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, როგორც საკვები პროდუქტებით, ასევე მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განვახორციელეთ სათანადო ცვლილება, რათა გამოგვეყო გარკვეული რაოდენობის თანხა (114.2 ათასი ლარი) საგანგებო მდგომარეობის პირობებში დახმარებოდით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2700-ზე მეტ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს. კარგი ინიციატივა განახორციელა ასეთი ოჯახების მიმართ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ, საკრებულოს და მერიის ახალგაზრდებთან ერთად წამოიწიეს კამპანია „ბაღდათელები ერთმანეთისათვის“, რომლებმაც მოკლე დროში შეძლეს შემოწირულობების სახით შეეგროვებინათ და შეეძინათ რამდენიმე ათასი ლარის ღირებულების საკვები პროდუქტები და სარეცხი საშუალებები, რომლის დაფასოებისა და დარიგების ორგანიზაცია თავად ახალგაზრდებმა მოახდინეს.

მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა და დაწესებული შეზღუდვებისა, განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობა იყო ნაყოფიერი, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამომდინარეობდა იმ პრობლემებიდან და საკითხებიდან, რომლებიც აწუხებს ჩვენს ამომრჩევლებს.

საკრებულოს მუშაობის ორგანიზაცია და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, რასაც განუხრელად ვიცავდით განვლილ საანგარიშო პერიოდში. საკრებულოს კომისიებში და საკრებულოს აპარატში მომზადებული სამართლებრივი აქტები, ძირითადად შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. მინიმუმამდე

იქნა დაყვანილი ზედამხედველობის სამსახურის შენიშვნები და ხარვეზები ჩვენს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე,

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად ყოველწლიურად ხდება აპარატის თანამშრომელთა შეფასება წლის შედეგების შესაბამისად, აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასებისათვის საკრებულოს თავმჯდომარის 2019 წლის 5 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული იქნა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები

გასულ 2020 წელში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეფასებებს დაექვემდებარა საკრებულოს აპარატის 8 თანამშრომელი, ორი პროფესიული საჯარო მოხელე, მიმდინარე წლის დასაწყისში შეირჩა კონკურსის წესით, რომელთა შეფასება ხდება სამ თვეში ერთხელ, როგორც საგამოცდო ვადით დანიშნულები. წლის გამავლობაში ჩატარებული იქნა 1 შუალედური და ერთი საბოლოო შეფასება, საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასებას ახდენდა საკრებულოს აპარატის უფროსი, ხოლო აპარატის უფროსის საქმიანობას აფასებდა საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს აპარატი ძირითადად დაკავებულია საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ფრაქციების, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომების მომზადებით, მათი ჩატარების ორგანიზაციულ-მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით.

განვილილ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს აპარატის მიერ ორგანიზებული და მომზადებული იქნა საკრებულოს 20 და ბიუროს 20 სხდომა. საკრებულოს სხდომებზე განხილული იქნა 93 საკითხი, მათ შორის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 23 საკითხიდან განხილული იქნა 21 (ორი საკითხი მუნიციპალიტეტის მერიის წინადადებით გადაიდო 2021 წლის პირველი კვარტლისათვის) მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომელთაგან 24 ნორმატიული აქტია დადგენილების სახით, ხოლო 69 გადაწყვეტილება მიღებულია განკარგულებით (3 სხდომაზე დღის წესრიგით განხილული იქნა სხვადასხვა საკითხები). მოწვეული სხდომებიდან რიგ გარეშედ ჩატარდა 10 სხდომა.

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2020 წლის 25 დეკემბრამდე გამოცემულია 119 ბრძანება. აქედან 35 შვებულებების შესახებ, საკრებულოს სხდომის მოწვევის შესახებ -18, მივლინების შესახებ-10 ბრძანება, კონკურსის გამოცხადების შესახებ-1, დახურული კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ-1 ბრძანება, საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ-1 ბრძანება, ნ.ებანოიძის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ-1 ბრძანება, კლასის მინიჭების შესახებ-1 ბრძანება, საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურების შესახებ-12, საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ-12 ბრძანება, შრ.ხელშეკრულების გაფორმების შესახებ-6 ბრძანება, შრ. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ-5 ბრძანება, კორონავირუსის შესახებ-11 ბრძანება, დანიშვნის შესახებ-2 ბრძანება, საკრებულოს აპარატის მოხელეთა 2020 წლის პროფესიული განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ-1 ბრძანება, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ-1 ბრძანება, მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებულთა და ამავე სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის შემოწმების განხორციელების მიზნით, საკრებულოს შრომის

უსაფრთხოების სპეციალისტის ლევან ჩიბურდანიძის განსაზღვრის შესახებ-1 ბრძანება, 1 ბრძანება-„სასაუბრო თანხის განსაზღვრის და კორპორაციულ ქსელში ჩართვის შესახებ“.

2020 წლის 27 იანვარს საჯარო სამსახურის ვებგვერდზე საკრებულოს მიერ გამოცხადებულ დახურულ კონკურსში დაშვებული იქნა 2 აპლიკანტი, ისინი სავსებით აკმაყოფილებდნენ კონკურსის პირობებს და საკრებულოს საკონკურსო კომისიის შუამდგომლობით და რეკომენდაციით დაინიშნენ ერთი წლის გამოსაცდელი ვადით.

საკრებულოს მოხელეთა შეფასების პროცესის ორგანიზების კუთხით, საჯარო სამსახურის ბიურო, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ახორციელებს დეცენტრალიზაციისა და საქართველოს ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პროექტს, რომლის მიზანია მოხელეთა შეფასების არსებული სისტემების გაუმჯობესება და შეფასებასთან დაკავშირებული პროცესების დახვეწა. ჩატარდა რამდენიმე საინტერესო შეხვედრა შეფასების საკითხებზე. საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, შეიქმნა საჯარო მოხელეთა ფორუმი, რომელიც ხელს უწყობს მოხელეებს, განავითარონ პროფესიული შესაძლებლობები. საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა მიმდინარე წელში 4 ასეთ ფორუმში მიიღეს მონაწილეობა, სადაც იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: 1. შესრულებული სამუშაოს შეფასება“2. „კომუნიკაცია და უკუკავშირი“ 3. „თვითრეალიზაცია და პროფესიული განვითარება“4. „მენეჯერის როლი შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე“.

გასულ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომის ჩავარდნას ადგილი არ ჰქონია, სხდომაზე გამოტანილი ყველა საკითხი განხილულია და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება. სხდომებზე განხილული იქნა საკითხები, რომლებმაც შემდგომში ასახვა ჰპოვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

განვიხილო საანგარიშო პერიოდში აპარატის მიერ საკრებულოს კომისიებთან ერთად მომზადდა და ჩატარდა **62** სხდომა, განხილული იქნა **135** საკითხი,

1.საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ჩატარებული აქვს **11** სხდომა, განხილულია **19** საკითხი, (მათ შორის ერთი გაფართოებული და ერთიც გაერთიანებული).

2.ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიამ ჩატარა **18** სხდომა განიხილა **59** საკითხი (მათ შორის ერთი გასვლითი)

3.კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ **9** სხდომაზე განიხილა **16** საკითხი (მათ შორის ერთი გაფართოებული).

4.გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომისას წლის განმავლობაში განხილული აქვს **17** საკითხი, ჩატარა **12**

5.იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 10 სხდომაზე განხილულია **21** საკითხი.

საკრებულოს აპარატში გასულ 2020 წელში შემოსული და რეგისტრირებულია 197 სხვადასხვა სახის განცხადება, მომართვა თუ კორესპოდენცია. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე შემოსულია 12 განცხადებ, 150 -მდე მოქალაქემ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს სხვადასხვა საკითხებზე. ყველა შემოსულ დოკუმენტზე მოხდენილია შესაბამისი რეაგირება, განმეორებით ერთდა იმავე საკითხზე მომართვას ადგილი არ ჰქონია. გარდა ერთეული

შემთხვევისა დოკუმენტის შესრულებაზე ან საკითხის მომზადებაზე ვადების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, საკრებულოს აპარატში მომზადდა და სხვადასხვა დაწესებულებებში გაიგზავნა 129 დოკუმენტი, წერილი, პასუხი. შიდა კორესპოდენციაში შემოსულია 46 დოკუმენტი, მათ შორის: 26 განცხადება, 12 მოხსენებითი ბარათი, 5 წერილი და 3 ცნობა..

ჩვენს საქმიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი, რაც დღემდე შენარჩუნებულია საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საკრებულოს ყოველთვის ჰქონდა კოლეგიალურ თანამშრომლობაზე დამყარებული საქმიანობა, როგორც მუნიციპალიტეტის მერთან ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, გასულ წელში ჩვენი ერთობლივი მუშაობით მაქსიმალურად შევასრულეთ ყველა ის ვალდებულება, რომელიც გაწერილი იყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

მოკლედ მოგახსენებთ ძირითად საბოლოო მაჩვენებლებს, როგორც ბიუჯეტის შესრულების, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური და კულტურული ღონისძიებების პროგრამების შესრულების თაობაზე.

ბიუჯეტი: 2020 წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა 7657.5 ათასი ლარით, მათ შორის მისაღები გადასახადების გეგმა ცენტრალური ბიუჯეტიდან შეადგენდა 6519.1 ათას ლარს(ქონების გადასახადი 750.0 ათასი ლარი, დღგ -5769.1 ლარი), მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად(საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სამხედრო სავალდებულო) – 130.0 ათასი ლარი, სხვა შემოსულობები განისაზღვრა 707.4 ათასი ლარით. **2020 წლის ბიუჯეტი მოცულობა 1381.4 ათასი ლარით (22%) მეტია 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით.**

საანგარიშო წლის მანძილზე ბიუჯეტის მიმართ განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2020 წლის ბიუჯეტი საბოლოოდ განისაზღვრა 16 594.4 ათასი ლარით(14.3%-ით მეტია 2019 წელთან შედარებით).

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები განისაზღვრა 8,795.7 ათასი ლარით. მათ შორის:

- ❖ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 191.5 ათასი ლარი (61.0 ათასი ლარი დაემატა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის).
- ❖ სპეციალური ტრანსფერი - 800.0 ათასი ლარი;
- ❖ რგპვ გამოყოფილი თანხები - 5588.0 ათასი ლარი;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 346.0 ათასი ლარი;
- ❖ საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის - 900.1 ათასი ლარი;
- ❖ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (სოფ. ვარციხეში ტურიზმის ცენტრის მოსაწყობად) – 970.0 ათასი ლარი.

რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან (რგპვ) გამოყოფილი თანხით - 5,628.7 ათასი ლარი დაფინანსდა 15 პროექტი.

ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ გავლენა მოახდინა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებაზე. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და ეპიდემიურმა ფონმა შეაფერხა ინფრასტრუქტურული პროცესების გეგმის მიხედვით განხორციელება, მინიმუმამდე დავიდა სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების რაოდენობა, შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალური საჯარო დაწესებულებები მაქსიმალურად გადავიდნენ დისტანციურ სამუშაო

რეჟიმში. ბიუჯეტს დაემატა „საგანგებო მდგომარეობის მიზნობრივი პროგრამა“ რომლის დაფინანსება განისაზღვრა 114.2 ათასი ლარით და საიდანაც დაფინანსდა ბალის აღსაზრდელების და სოციალურად დაუცველების კვებით უზრუნველყოფა, სადებიზინფექციო საშუალებების შექმნა და პანდემიასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

ინფრასტრუქტურა: 2020 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა 14 საგზაო და 1 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობის პროექტი, რომელთა ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 5 628 705 ლარს.

ბოლო წლებში განხორციელებული საგზაო პროექტების შედეგად მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი გარდა ორი სოფლისა მუნიციპალურ ცენტრს უკავშირდება კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურით. დარჩენილი ორი სოფლიდან ერთ-ერთის (სოფ. ზეკარი) გზის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია უკვე დამუშავებულია და მიმდინარეობს სამუშაოებისთვის საჭირო დაფინანსების მოძიება.

ადგილობრივი ბიუჯეტის სიმწირის მიუხედავად ყოველწლიურად ხდება თანხების მობილიზება ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. 2020 წელს სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გამოიყო 400 000 ლარზე მეტი. განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (სახურავები, ფასადები), სამედიცინო ამბულატორიის, ნაპირსამაგრის, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის 11 სკოლაში 2020 წელს განხორციელდა, 900 146 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების, 13 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი. თანხების ძირითადი ნაწილი მიმართული იყო საჯარო სკოლებში სველი წერტილების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

მუნიციპალიტეტის 24 სოფელში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს დაფინანსდა 37 პროექტი. ცენტრალური ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანადაფინანსების ჯამურმა თანხამ შეადგინა 398 000 ლარი.

ევროკავშირის დაფინანსებით გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შედეგად, მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრისთვის სოფ. ვარციხეში არსებული შენობის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები. პროექტის ღირებულებაა 910 085 ლარი და მისი დასრულება გათვალისწინებულია 2021 წელს.

2020 წელს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მსხვილი ინფრასტრუქტურულ პროექტი განხორციელა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მუნიციპალური განვითარების ფონდმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი) და სხვა უწყებებმა.

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მიმდინარე წელს დაახლოებით 1950-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. სოციალური მიმართულებით 310 423 ლარი გაიხარჯა

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით კი - 167 375 ლარი

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა მიმდინარე წელს 4 ახალი პროგრამა განხორციელა, ესენია: აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკა - აბილიტაცია, შშმ პირთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა, ქიმიკთერაპიის კურსის თანადაფინანსება და მოწყვლად ოჯახთა გაძლიერების პროგრამა. ჩამოთვლილი პროგრამები ბენეფიციარების უშუალო ჩართულობით არის შექმნილი და ყველა მათგანი მნიშვნელოვანია, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია „მოწყვლად ოჯახთა გაძლიერების პროგრამა“ რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 15-მა ბავშვიანმა ოჯახმა ისარგებლა.

გარდა ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების განხორციელებისა, პარალელურად, პანდემიის გამო გამოწვეული კრიზისის შემსუბუქებისა და მოწყვლადი ოჯახების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით აქტიურად ვითანამშრომლეთ, როგორც არასამთავრობო, ასევე საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან. მობილიზება გავუკეთეთ ჩვენს რესურსსა და საერთო ჯამში შეჭირვებული ოჯახებისათვის მიმდინარე წელს 2705 სასურასთო პაკეტი იქნა მიწოდებული.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს და ეკომიგრანტებს: მიმდინარე წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში (ყოფილი პროფსასწავლებლის შენობაში) მცხოვრები ექვსი ოჯახი დაკმაყოფილდა ბინით ქალაქ ქუთაისში, ყოფილი სასტუმროს შენობაში მცხოვრები ორი ოჯახის დაკმაყოფილება კი უახლოეს მომავალში არის დაგეგმილი. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 17 ეკომიგრანტი ოჯახიდან სამინისტროს თანადაფინანსებით ერთმა მათგანმა უკვე შეიძინა საცხოვრებელი, ორი ოჯახი კი უახლოეს დრეეში ელოდება დაფინანსებას.

საკრებულოს საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ეკისრება მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობას. მინდა ავლიშნო, რომ საკრებულოში არჩეულია 14 მაჟორიტარი დეპუტატი, რომლებიც რეალურად ფლობენ სოფლებში არსებულ პრობლემებს, აქტიურად არიან ჩართული ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებების მოძიებაში. მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მიღებული თანხებით, სოფელ როხში მოეწყო სპორტული ტრენაჟორების დარბაზი, ბევრ სოფელში მოეწყო გარე განათებები, ღვარსადენები, ცხაურები და ა.შ.

მაჟორიტარი დეპუტატების მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლის შედეგია, ის, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც დაიგეგმა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 2020 წელში დამთავრებულია ან დამთავრების ეტაპზეა. აქტიურად მიმდინარებს მუშაობა მიმდინარე წელში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოების შერჩევისა და დროულად დაწყებისათვის. დაპირებისამებრ

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატების წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და პირადი პრობლემების მოგვარების საკითხებში. ყოველი მათგანი ზუსტად ფლობს ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქეთა ყოფით ცხოვრებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ბაღდათის მუნიციპალიტეტი